

თავისუფალი ეკონომიკური ზონები (ჩინეთი, რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, თურქეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები)

დაახლოებით 30 წლის წინ სხვადასხვა ტიპის ეკონომიკურმა ზონებმა მნიშვნელოვანი პოპულარობა მოიპოვა. უკანასკნელ პერიოდამდე ინტერესი მათდამი ერთგვარად მინელდა, თუმცა ბოლო დროს შეინიშნება განვითარებადი ქვეყნების ხელახალი დაინტერესება. ბოლო წლებში საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმირების საკითხი საკმაოდ აქტიურად დადგა დღის წესრიგში. ინტერესმოკლებული არ იქნება ამ კუთხით სხვა ქვეყნების გამოცდილების გაცნობა.

ეკონომიკური ზონებს ძირითადად თავისუფალ ეკონომიკურ ზონებად (თეზ) მოიხსენებენ, თუმცა ზოგიერთები განასხვავებენ ეგრედ წოდებულ სპეციალურ ეკონომიკურ ზონებს (სეზ) შეიძლება. იმ განსხვავებით, რომ ე. წ. თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, მოიაზრება ამა თუ იმ ქვეყნის რეგიონი (ძირითადად სასაზღვრო), რომელშიც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მოქმედ საგარეო სავაჭრო კანონმდებლობასთან შედარებით ლიბერალური რეჟიმი მყარდება. სპეციალური ეკონომიკური ზონები კი უფრო მეტად უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვისაა გამიზნული და ასევე შედარებით ლიბერალურ სახელმწიფო პოლიტიკას ემყარება. თუმცა ბევრი ამ ტერმინოლოგიას არ ანსხვავებს და ნებისმიერ ზონასთან მიმართებაში იყენებს მხოლოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას (თეზ).

ორივე შემთხვევაში, ეს ზონები აღიქმება როგორც დროებითი ზომა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა თუ გარკვეული რეგიონების განვითარების ხელშეწყობის მიზნებს ემსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნებს შორის შეიძლება ურთიერთშენაცვლებადი იყოს ხსენებული ორი ტიპის ზონის დანიშნულება, რაც უფრო დეფინიციის პრობლემაა, ვიდრე არსობრივი განსხვავებისა. თუ შევადარებთ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას სპეციალურ ეკონომიკურ ზონასთან,

შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფუნქცია შედარებით ვიწროა და როგორც აღინიშნა, უფრო მეტად ქვეყნის რეგიონში თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის დამკვიდრებით შემოიფარგლება. მაშინ როდესაც, სპეციალური ეკონომიკური ზონა გულისხმობს როგორც ლიბერალურ სატარიფო რეჟიმს, ასევე გამარტივებულ შრომით და საგადასახადო კანონმდებლობასა და რეგულაციებს, ასევე სხვა ზომებსაც.

წარმოდგენილ მასალაში მოკლედაა მიმოხილული ეკონომიკური ზონების მნიშვნელობა, ფუნქციები და მათი ზეგავლენა ეკონომიკური ზრდის ამოცანის მიღწევაზე ცალკეულ ქვეყნებში. როგორც წესი, მსგავსი ზონები ფუნდდება სასაზღვრო რეგიონში და შემდეგი ტიპის ეკონომიკურ თავისუფლებას გულისხმობს:

- 1) ლიბერალური შრომითი კანონმდებლობა;
- 2) თავისუფალი ვაჭრობა უცხოეთთან;
- 3) დაბალი გადასახადები (განსაკუთრებით კორპორაციული გადასახადები), ან მათი სრული გაუქმება;
- 4) გარკვეული პოლიტიკური ავტონომია (ცალკეულ შემთხვევებში, საწყის ეტაპზე).

გარდა ამისა, სპეციალური ეკონომიკური ზონების წარმატებისათვის საჭიროა ქვეყნის შედარებითი განვითარების დაბალი დონე, დიდი შიდა ბაზარი და იაფი მუშახელი, პოლიტიკური სტაბილობა და შედარებითი იზოლაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ეკონომიკურ ზონებს ჰყავს კრიტიკოსებიც, რომლებიც ასეთი ზონის ჩამოყალიბების იდეას საფუძვლიანად აკრიტიკებენ შემდეგი მოსაზრებებით:

- 1) რა კრიტერიუმით უნდა ავირჩიოთ ქვეყნის ესა თუ ის, და არა სხვა რომელიმე რეგიონი? ცალსახა პასუხი ამაზე ძნელად მოსაპოვებელია;
- 2) სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნით მიღებული შედეგები სხვა რეგიონებშიც მიიღწევა, თუ მთელს სახელმწიფოში თანაბრად გავრცელდება ლიბერალური და ბიზნესის ხელშემწყობი კანონმდებლობა და ინფრასტრუქტურა;

- 3) რატომ უნდა მიენიჭოს საგადასახადო პრეფერენციები რომელიმე რეგიონს? ეს ხომ ფისკალური ტვირთის მოსახლეობის სხვა ჯგუფებზე არაპირდაპირ გადაკისრებას ნიშნავს?
- 4) რა ჯდება ასეთი ზონის ადმინისტრირება და რა გარანტიაა იმისა, რომ შეღავათებს ფულის გათეთრებისა და გადასახადებისგან თავის ასარიდებლად არ გამოიყენებენ?
- 5) ვინ უნდა დააფინანსოს საჭირო ძვირადღირებული ინფრასტრუქტურა და რა დრო და ძალისხმევა დასჭირდება ინვესტორების დარწმუნებას ასეთ ზონებში ფულის დაბანდების მიზანშეწონილობაში?

თავისუფალი ეკონომიკური ზონები თავის დროზე ისეთი განსხვავებული ქვეყნების ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ფილიპინები, ირანი, რუსეთი, ლათინური ამერიკის ცალკეული ქვეყნები და სხვა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონები შესაძლოა შეიქმნას ცალკეული ღებრესიული რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, თუმცა როგორც წესი, სოციალური საკითხები ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას მეორეხარისხოვან როლს თამაშობს და ქვეყნის ხელისუფლება ძირითადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვითა და ვაჭრობის წახალისებითაა დაინტერესებული.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

რამდენიმე ათწლეულის გამოცდილებამ ცხადყო, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონების საქმიანობა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოდგა, რაც რამდენიმე ფუნდამენტური მიზეზით აიხსნება. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ჩინეთი 1979 წლამდე (როცა აქ პირველი სპეციალური ეკონომიკური ზონა შეიქმნა), მსოფლიოს უღარიბეს ქვეყანას წარმოადგენდა, რაც იაფი სამუშაო ძალის თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობით ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

ჩინეთს თავის დროზე გააჩნდა და დღესაც გააჩნია კოლოსალური უპირატესობა უიაფესი შრომითი რესურსების მობილიზაციის უნარისა და გიგანტური შიდა ბაზრის სახით.

ეკონომიკური განვითარების სწრაფი ზრდის ტემპის მიზეზებზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ამ ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის ფორმის თავისებურებებიც. ჩინეთი ფორმალურად დღესაც რჩება კომუნისტურ ქვეყნად, რომლის კანონმდებლობა თუ არსებული ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ მეტად შემზღუდავია ინვესტორებისა და საერთოდ, თავისუფალი კონკურენციისათვის. ქვეყნის სათავეში მრავალი წლის მანძილზე ერთი პოლიტიკური ჯგუფის ყოფნა კი იმას ნიშნავს, რომ მთავრობას ტოტალური პოლიტიკური კონტროლის პირობებში გარკვეული ინფრასტრუქტურული თუ საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას მოსახლეობის უზარმაზარი რაოდენობის სწრაფი მობილიზაციის უნარი შესწევს. ცხადია, უცხოელი ინვესტორები უთუოდ გამოიყენებდნენ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის შედეგად მიღებულ უპირატესობას, რადგან ჩინეთის მთავრობამ მკაფიოდ და სარწმუნოდ დააფიქსირა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის პოლიტიკის ვალდებულება, ხოლო ინვესტორებმა მიიღეს სიგნალი, რომ ხელისუფლება თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მათ საქმიანობაში არ ჩაერეოდა.

გარდა ამისა, ჩინეთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში ძირითადად, ყოველ შემთხვევაში თავდაპირველად, ჩინური დიასპორის, კერძოდ კი ჰონკონგისა და ტაივანის კაპიტალი ჩაიღო. ინვესტორებმა გამოიყენეს იაფი სამუშაო ძალა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, დიდი შიდა ბაზარი და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისა და განხორციელების შედარებითი სიმარტივე. ეს ყოველივე ცხადად აისახა ჩინეთის ეკონომიკის სწრაფ ზრდაში. ამ ქვეყანაში ეკონომიკური ზონების მნიშვნელობის დამადასტურებელ ფაქტად თუნდაც ის გამოდგება, რომ 1979 წლიდან დღემდე ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ წელიწადში 8.2%-ს შეადგენდა, მაშინ როცა თავისუფალ ზონებში ამ მაჩვენებელმა 28 პროცენტსაც კი გადააჭარბა.

ჩინეთის პოზიტიური მაგალითის მიმოხილვისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ქვეყანაში მნიშვნელოვნად

გაიზარდა სოციალური უთანასწორობა თავისუფალ ეკონომიკურ ზონებსა და დანარჩენ ჩინეთში მცხოვრებ მოსახლეობას შორის. ჯერჯერობით ქვეყნის განვითარებისთვის ამას არსებითი პრობლემა არ შეუქმნია, მაგრამ თუ ჩინეთს განზრახული აქვს ეკონომიკური ზრდის არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება, სოციალური საკითხების უგულვებელყოფა მას აუცილებლად შეუქმნის პრობლემებს, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნის 800 მილიონი მაცხოვრებელი ჯერ კიდევ სოფლის მცხოვრებად ითვლება, და ეს ადამიანები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ.

რუსეთის ფედერაცია

ჩინეთის გამოცდილების გაზიარება ცვალებადი წარმატებებით სცადეს სხვა ქვეყნებმაც. მათ შორის აღსანიშნავია ლათინური ამერიკისა და რუსეთის ფედერაციის მაგალითები. რუსეთის კალინინგრადის ოლქისა და მექსიკის სასაზღვრო რაიონების სპეციალური ეკონომიკური ზონები ძირითადად ვაჭრობის წახალისებისა და ინვესტიციების მოზიდვისაკენ იყო გამიზნული.

რუსეთში მოქმედ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს შორის კალინინგრადის ეკონომიკური ზონა პირველია, რომელიც შეიქმნა სპეციალური კანონის შესაბამისად. თუ ჩინეთის შედარებითი უპირატესობა იაფი მუშახელია და ეს იყო ჩინური ეკონომიკური ზონების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი, კალინინგრადის ზონის ჩამოყალიბება-განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მათი გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობით სარგებლობას ითვალისწინებდა, მათ ტერიტორიული მდებარეობით ვერ მიიღეს ისეთი ეფექტი, როგორც ამას ჩინეთის მაგალითი მოწმობს. რუსეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონები (მათ შორის კალინინგრადი) განლაგებულია სანაპირო ზოლში, ძირითადად, ქვეყნის პერიფერიულ ნაწილში.

ჩინეთის ეკონომიკურ ზონებში ინვესტიციების მოზიდვა ძირითადად ჩინური დიასპორის მეშვეობით განხორციელდა. რუსეთს ასეთი დიდი დიასპორა არ ჰყოლია. მართალია კალინინგრადის მხარეში არსებული ინვესტიციების დიდი ნაწილი რუსული კაპიტალია, მაგრამ იგი ხშირად რუსეთს გარეთ გაედინება. ჩინეთის მსგავსად, რუსეთს არ ჰყავს დიასპორა, რომელსაც შესაბამისი ტექნიკური გამოცდილება და ცოდნა გააჩნია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი (განსაკუთრებით კალინინგრადი) ევროპულ ბაზართან და შესაბამისად, ევროპულ ინვესტიციებთან გაცილებით ახლოსაა ვიდრე ჩინეთი. რაც გარკვეული შედარებითი უპირატესობაა. მაგრამ როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მარტო სიახლოვე არ არის საკმარისი ინვესტიციების მოზიდვისთვის. კაპიტალის შემოდინებას ხშირად აბრკოლებს არსებული ბიუროკრატიული სისტემა და ის პოლიტიკური გარემო, რაც ქვეყნის მმართველი ორგანოების მიერ არის შექმნილი.

კალინინგრადის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა 1991 წელს ჩაისახა. 1996 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი, რომელმაც კალინინგრადის ზონის სპეციფიკა, მუშაობის რეჟიმი და კონკრეტული ღონისძიებები განსაზღვრა. ხოლო 2006 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კიდევ უფრო გააფართოვა და დახვეწა ზონის საქმიანობა.

კალინინგრადის თავისუფალი ეკონომიკური ზონას შემდეგი უპირატესობები და შეღავათები გააჩნია:

- ეს არის თავისუფალი საბაჟო ზონა. არ მოქმედებს გადასახადი იმპორტზე, და შესაბამისად, ადგილობრივი წარმოებისათვის იმპორტი იაფდება და საწარმოო ხარჯები მნიშვნელოვნად მცირდება, რაც თავის მხრივ აძლიერებს რუსეთის ფედერაციის საექსპორტო პოტენციალს. კალინინგრადის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რუსული პროდუქციის ევროპულ ბაზარზე გატანას;
- რეგიონული საიმპორტო ქვოტის სისტემა, რომლის მიხედვითაც 35 სასაქონლო კატეგორია ყველანაირი გადასახადის გარეშე აუქციონზე იყიდება. ქვოტის ზემოთ საქონელი საბაჟო პროცედურას ექვემდებარება;

- ზონის შიგნით წარმოებული პროდუქცია (განსაკუთრებული გამონაკლისის გარდა) რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საბაჟო გადასახადის გარეშე შედის.

ბოლო წლების განმავლობაში, ძალიან ბევრი ინვესტორი და ფირმა თავს იკავებდა კალინინგრადში კაპიტალის დაბანდებისაგან, რაც განპირობებული იყო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან. სავარაუდოდ არსებული სიტუაცია შეიცვლება, რადგან მიღებულია ახალი კანონი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ. კანონის შესაბამისად, ის კომპანიები, რომლებიც კალინინგრადში მინიმუმ 150 მილიონი რუსული რუბლის (4.25 მილიონი ევრო) ღირებულების ინვესტიციას განახორციელებენ, 6 წლის განმავლობაში თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან. ახალი კანონი მნიშვნელოვნად ცვლის ეკონომიკური ზონის ამჟამინდელ რეჟიმს. ფაქტიურად, ძველი და ახალი რეჟიმები ერთდროულად მოქმედებენ. ამდენად, საკამათოა ის საკითხი, თუ რამდენად მოხდება ძველი და ახალი რეჟიმების პარალელური მუშაობა. აქედან გამომდინარე, განსხვავებული მოსაზრებებია იმის შესახებ, თუ ინვესტორებისა და ფირმების ბაზარზე შემოსვლას რამდენად პოზიტიური ეფექტი ექნება მოკლევადიან პერიოდში.

საინტერესო იქნება კალინინგრადის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შედარება ჩინეთის მსგავს ზონებთან.

პოლიტიკური გარემო

კალინინგრადის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა რუსეთის ფედერაციის მთავრობის აქტიური მხარდაჭერით განხორციელდა. პრეზიდენტმა ელცინმა მხარის გუბერნატორად დანიშნა ლიბერალური ბაზრის აქტიური მხარდამჭერი იური მატოჩკინი. მატოჩკინის დიდი სურვილი იყო კალინინგრადი რუსულ ჰონკ-კონგად გარდაექმნა. თუმცა, ცვალებადმა პოლიტიკურმა გარემომ, კერძოდ კი ქვეყანაში განვითარებულმა შემდგომმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეუშალეს ხელი ამ იდეის სისრულეში მოყვანას.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობა

კალინინგრადის მხარეს აქვს შემდეგი მნიშვნელოვანი უპირატესობები:

- გააჩნია კარგად განვითარებული საზღვაო პორტი (მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სხვა რუსულ პორტებთან შედარებით კალინინგრადის პორტი არ იყინება) და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- ყოველი მხრიდან ესაზღვრება ევროკავშირს. რუსული საქონლის ექსპორტი (ძირითადად ბუნებრივი აირი) ევროკავშირის ქვეყნებში კალინინგრადის გავლით ხორციელდება.

მაგრამ ის გარემოება, რომ კალინინგრადის მხარე არ ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის ძირითად ტერიტორიას და მასთან დაკავშირება ლიტვის გავლით ხდება, მნიშვნელოვნად აფერხებს ზონის ეფექტურ მუშაობას.

მუშახელი

სამუშაო ძალის მხრივ კალინინგრადი რადიკალურად განსხვავდება ჩინეთის დიდ და იაფი ბაზრისაგან, რაც ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სადღეისოდ რუსეთში და მექსიკაში მიღწეული შედეგები არც თუ ისე დამაიმედებელია შემდეგი მიზეზების გამო:

- 1) ეს ქვეყნები, განსაკუთრებით კი რუსეთი, ჩინეთთან შედარებით გაცილებით მაღალგანვითარებულ ქვეყნად რჩებიან, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ თავიდანვე არ გააჩნდათ იაფი სამუშაო ძალით ინვესტორების მოზიდვის შესაძლებლობა;
- 2) შედარებით სუსტი იყო თავისუფალი ზონების შექმნის პოლიტიკური ნება, რადგან ფორმალურად ეს ქვეყნები დემოკრატიებს წარმოადგენენ, მათში კი გრძელვადიანი ეკონომიკური პროგრამების განხორციელება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული მმართველობის ფორმის გამო;
- 3) ამ ქვეყნებში ცალკეული რეგიონებისთვის საგადასახადო პრეფერენციების შექმნა დიდ წინააღმდეგობას აწყდებს;
- 4) ჩინეთთან შედარებით მაღალი იყო ამ ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გახსნილობის ხარისხი, რაც ზოგადად, ეკონომიკური ზონის შექმნის აუცილებლობას დღის წესრიგიდან ხსნის.

ინდოეთი

უკანასკნელ წლებში ჩინეთის მოდელის გადმოღებას ინდოეთიც შეეცადა. ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური მახასიათებლები ზედაპირული დათვალიერებისას მსგავსია, მაგრამ უფრო საფუძვლიანი შესწავლა მნიშვნელოვან სხვაობებს ავლენს, რაც ინდოეთში ასეთი ზონების წარმატებას სათუოს ხდის. მართალია, ინდოეთს ჩინეთზე უფრო იაფი და დიდი სამუშაო ძალა გააჩნია, მაგრამ ასევე დაბალია მისი ხარისხი და ინდური შრომის ბაზარი უფრო მკაცრად რეგულირდება. გარდა ამისა, ინდოეთმა დაკარგა ეკონომიკური ზონის შექმნისათვის საჭირო კონკურენტული უპირატესობა, რადგან ახლა ჩინეთი უკვე საკმაოდ ძლიერ კონკურენტულ სახელმწიფოს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით (მშპ-ს 60%-ზე მეტი ექსპორტზე მოდის, მაშინ როცა ინდოეთისათვის ეს მაჩვენებელი 10%-ს არ აღემატება). ინდოეთში უკანასკნელ წლებში მიღწეული ეკონომიკური ზრდა წარუმატებელი აღმოჩნდა დასაქმების გენერაციის თვალსაზრისით, რაც ეკონომიკური ზონებისთვის ამ ქვეყანას ნაკლებად მიმზიდველს ხდის. და ბოლოს, ინდოეთის ეკონომიკური ზრდა უფრო სექტორების მცირე, შედარებით კაპიტალ და ტექნოლოგიად დარგებზე (პროგრამირება, კომპიუტერები) არის კონცენტრირებული და ჯერ კიდევ ნაკლებად ეყრდნობა შრომატევად დარგებს. ინდოეთის ცალკეულ რეგიონებში ასეთი ზონების შექმნა დიდ წინაღმდეგობას წააწყდა ფერმერებისაგანაც, ასევე უძრავ ქონებაზე ფასების დამახინჯება და ადგილობრივ დონეზე საწარმოო ფაქტორების თავისუფალი მოძრაობის დარღვევები გამოიწვია.

თურქეთი

თურქეთის კანონმდებლობის მიხედვით (კანონი “თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ” №3218; 15.06.1985) თავისუფალი ეკონომიკური ზონა ეს არის რეგიონი, სადაც საგარეო ვაჭრობისა და სხვა ფინანსური თუ ეკონომიკური სფეროების მიმართ ქვეყანაში არსებული რეგულირების მეთოდები ან საერთოდ არ გამოიყენება, ან გამოიყენება ნაწილობრივ, ან შემუშავებულია რეგულირების ახალი ფორმები.

ხსენებული კანონის მიხედვით თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში შექმნილია ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო. მათი დაარსების და ფუნქციონირების მთავარი მიზნებია:

- ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვა და წარმოების გაფართოება თურქეთში,
- ქვეყანაში უცხოური ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების შემოსვლის დაჩქარება,
- ქვეყნის ეკონომიკაში შემოსავლების ზრდა და უცხოური კაპიტალისა და საგარეო ვაჭრობის წილის გაზრდა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირება თურქეთში რეალურად დაიწყო 1987 წლიდან. დღეს იქ მოქმედებს 21 ზონა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების სახეები დაარსების და მართვის პრინციპის მიხედვით

- BUILD OPERATE TRANSFER მოდელის ზონები, რომლებიც თავდაპირველად სახელმწიფო ინვესტიციებით ფინანსდებოდა და შემდგომ ინფრასტრუქტურა იჯარით გადაეცემოდა ზონაში ოპერირების ლიცენზიის მქონე კომპანიებს. თუმცა შემდგომში BOT მოდელის ზონები მხოლოდ კერძო ინვესტიციებით ფინანსდებოდა (BOT-ის ტიპის ზონებია: Mersin, Anatolia, Erzurum_East Anatolia, Istanbul Stock Exchange International Securities Market, Tubitak Marmara Research Center, Aegean, Istanbul Ataturk Airport, Trapzon, Samsun, Rize, Adana _Yumurtalik , Kocaeli);

- კერძო ინვესტიციებით შექმნილი ზონები, სადაც მოქმედ კომპანიებს საკუთრებაში გადაეცემათ მიწის ნაკვეთები და ინფრასტრუქტურა (Izmir Menemen Leathre, Istanbul Leather and Industry, Istanbul Thrace, Mardin, Gaziantep, Kayseri, Europe, Denizli და Bursa).

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მოქმედი შეღავათების სქემა

“თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ” №3218 და „ინვესტიციებისა და დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ არსებულ №5084 კანონებში განხორციელდა სხვადასხვა ცვლილება, რომელთა შედეგადაც მოხდა კაპიტალდაბანდების მასტიმულირებელი საგადასახადო შეღავათების ახალი კლასიფიკაცია:

1. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც მიიღეს საქმიანობის ლიცენზია №5084 კანონის (06.02. 2004) ძალაში შესვლამდე:

- ა) გათავისუფლებიან საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული მოქმედების ვადის განმავლობაში;
- ბ) გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისგან დასაქმებულთა ხელფასზე მხოლოდ 2009 წლამდე;
- გ) 2009 წლამდე გათავისუფლებულნი იქნებიან თავისუფალ ზონაში განხორციელებულ მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადისა და გადასახდელისაგან.

2. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც თავისუფალ ზონაში ფუნქციონირება დაიწყეს 2004 წელს და შემდგომ პერიოდში და გააჩნიათ წარმოების ლიცენზია, გათავისუფლებულნი იქნებიან საშემოსავლო და მოგების გადასახადებისაგან იმ საგადასახადო წლის დასრულებამდე, როდესაც თურქეთი გახდება ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

ამასთან ერთად ძალაში რჩება მანამდე არსებული შეღავათები:

- თეზ-ში მიღებული შემოსავლების გადარიცხვა შესაძლებელია ნებისმიერ ქვეყანაში, თურქეთის ჩათვლით, წინასწარი ნებართვის გარეშე;
- თურქეთის ბაზარზე შექმნილი საქონელი და მომსახურება ზონაში იმპორტის დროს არ იბეგრება (გარდა დღგ-სი);

- რადგანაც თეზ წარმოადგენს თურქეთ-ევროკავშირის საბაჟო სივრცის ნაწილს, თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში მყოფი საქონელი შედის ევროკავშირის ქვეყნებში ATR სერტიფიკატით¹. მესამე ქვეყნის წარმოშობის საქონლის შეტანა ზონაში ასევე არ იბეგრება საბაჟო გადასახადებით. ამასთან, მესამე ქვეყნის საქონელი, რომელიც არ იმყოფება თავისუფალ მიმოქცევაში ევროკავშირის ფარგლებში, შედის ევროკავშირის ქვეყნებში ATR სერტიფიკატით მხოლოდ საბაჟო გადასახადების გადახდის შემდეგ, იმ განაკვეთით, რომელიც დადგენილია საერთო საბაჟო ტარიფით (Common Custom Tariff);
- საქონელი შესაძლებელია დარჩეს თეზ-ში ყოველგვარი დროებითი შეზღუდვის გარეშე;
- თეზ-ში არ არსებობს საქონლის ფასებთან, სტანდარტებთან ან ხარისხთან დაკავშირებული რაიმე პროცესუალური შეზღუდვები;
- თეზ-ში გამოყენებული ვალუტის ერთეულები კონვერტირებადია უცხოური ვალუტების მიმართ და ეს პროცესი იმართება თურქეთის ცენტრალური ბანკის მიერ;
- მსოფლიოში არსებული მრავალი თეზ-ისაგან განსხვავებით თურქეთში ნებადართულია გაყიდვები შიდა ბაზარზე. დაშვებულია ასევე ბარტერიც;
- საქმიანობის პროცესში არსებული ბიუროკრატიზმი მინიმუმია.

შეღვათები თურქულ ზონებში ვრცელდება ყველა ფორმაზე, მიუხედავად მათი წარმომავლობისა.

თეზ-ების მართვა და საქმიანობის კონტროლი

თეზ-ის სათავეში დგას საგარეო ვაჭრობის ქვე-სამდივნოს თავისუფალი ზონების გენერალური დირექტორატი. დირექტორატი ვალდებულია დააწესოს ზონის დაარსების, მართვის და მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და პოლიტიკა, კვლევის,

¹ ATR სერტიფიკატი იძლევა ევროკავშირის ქვეყნებში თურქეთიდან სამრეწველო პროდუქციის ესპორტირების საშუალებას ევროკავშირი-თურქეთს შორის დადებულ საბაჟო შეთანხმების პირობების შესაბამისად (ან თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში, ან ერთიანი საბაჟო ტარიფით დაბეგვრის შემდეგ).

მართვის, საქმიანობის კოორდინაციის, კონტროლის ღონისძიებების განხორციელებაზე, ასევე ზონაში კომერციული საქმიანობისათვის აუცილებელი ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებაზე.

ადგილობრივ დონეზე ყოველ თავისუფალ ზონას ჰყავს თავისი **დირექტორატი**, რომელიც გენერალურ დირექტორატს ექვემდებარება. იგი უფლებამოსილია მოახდინოს ზონის აუცილებელი ზედამხედველობა და ინსპექტირება, კოორდინაცია გაუწიოს ზონის შიგნით არსებულ ისეთ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, როგორცაა პოლიცია და საბაჟო, მუნიციპალური მმართველობა.

ზონების ადმინისტრაციების მიერ უშუალოდ არ რეგულირდება ზონების განვითარების მიმართულებები. კომპანიები თვითონ ირჩევენ სასურველი ლიცენზიის სახეობას (სავაჭრო ან საწარმოო) და ზონების სპეციალიზაცია განპირობებულია მხოლოდ კომპანიების საკუთარი უპირატესობებით.

ლიცენზიის მოპოვების პროცედურა

1. ივსება საქმიანობის ლიცენზიის ფორმა, რომელიც გაიცემა თავისუფალი ზონის გენერალური დირექტორატის, ზონის დირექტორატის ან ზონის მმართველის მიერ;
2. აპლიკაციის ბაჟი (5000 აშშ დოლარი) თავსდება ცენტრალურ ბანკში;
3. აპლიკაციის ფორმითა და შესაბამისი ქვითრით კომპანია მიმართავს ზონის გენერალურ დირექტორატს;
4. აპლიკაციის ფორმა განიხილება ზონის გენერალური დირექტორატის მიერ;
5. უარის შემთხვევაში აპლიკაციის საფასური უკან იქნება დაბრუნებული;
6. თანხმობის შემთხვევაში საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად პრეტენდენტი ფირმები მიმართავენ ზონის გენერალურ დირექტორატს თავისი საიჯარო და გაყიდვის დამფუძნებელ/მმართველ კომპანიასთან დასადები გაყიდვის ხელშეკრულებებით.

საწარმოო ლიცენზიის მოქმედების იურიდიული პერიოდი შეადგენს მაქსიმუმ 10 წელს დამქირავებელი ფირმებისათვის და 20 წელს იმ ფირმებისათვის, რომლებიც მოისურვებენ საკუთარი ობიექტების მშენებლობას ზონაში. თუ აღნიშნული ლიცენზია

გაიცემა წარმოებაზე, ეს ვადები შეადგენს 15 და 30 წელს შესაბამისად ადგილობრივი ფირმებისა და ინვესტორებისათვის.

არაბეთის გაერთიანებული ემირატები

ის გარემოება, რომ ღლეისათვის ღუბაი შუა-აღმოსავლეთში ერთ-ერთ საუკეთესო სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, მის სტრატეგიულ-გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასთან ერთად განპირობებულია იქ მოქმედი თავისუფალი ეკონომიკური ზონებით.

მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 60-იან წლებში არაბთა გაერთიანებულ ემირატებში ნავთობი აღმოაჩინეს, ამ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა.

1985 წლისათვის, მაშინ როდესაც საგრძნობლად გაიზარდა ნავთობიდან მიღებული შემოსავლები და შედეგად, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, არაბეთის გაერთიანებული ემირატების მთავრობამ დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. კერძოდ, მათ დაიწყეს დაგროვილი კაპიტალის ინვესტირება ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რის შედეგადაც ქვეყნის შვიდივე შტატი განვითარდა. შტატებს შორის მეორე ადგილს იკავებდა ღუბაი, როგორც ყველაზე სწრაფად განვითარებადი შტატი, როგორც ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული თვალსაზრისით.

ქვეყანაში დომინირებდა ნავთობის და ბენზინის ინდუსტრია. თუმცა, ქვეყნის ლიდერები ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ ნავთობის მარაგის ოდენობა შეზღუდული იყო და მხოლოდ რამდენიმე ათეული წლისთვის იყო საკმარისი. აქიდან გამომდინარე, დაიწყეს ფართომასშტაბიანი და აგრესიული ეკონომიკური პროექტების განხორციელება.

ძირითადი აქცენტი თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბებაზე გამახვილდა. ამ ზონებში ოპერირების საუკეთესო პირობებია შექმნილი ინვესტორებისათვის, უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელისთვის, საერთაშორისო კომპანიებისთვის. ინფრასტრუქტურის განვითარების მდგომარეობა აქ ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. კერძოდ, პორტები, გზები, აეროპორტები, სატელეფონო და

ინტერნეტ კავშირები საუკეთესოა მთელს რეგიონში. ღუბაის საერთაშორისო აეროპორტი 60-მდე ავიაკომპანიას ემსახურება, დღეში ხორციელდება 150-ზე მეტი რეისი და მგზავრთა გადაყვანით აზიაში მეორე ადგილი უკავია ტოკიოს აეროპორტის შემდეგ და მხოლოდ სიეტლს ჩამორჩება, როგორც საზღვაო და საჰაერო პორტი ერთად. ღუბაის საზღვაო პორტი ტვირთების გადაზიდვით მსოფლიოს საუკეთესო 15 პორტში შედის.

ამჟამად ღუბაიში წარმატებით ფუნქციონირებს რამდენიმე მსხვილი თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ესენია:

- “ჯებელ ალი”;
- “ღუბაი აეროპორტი”;
- “ღუბაი ინტერნეტ ქალაქი”
- “ღუბაის საერთაშორისო საფინანსო ცენტრი”
- “ღუბაი მედია ქალაქი”
- “ღუბაის ტექნოპარკი”
- “ღუბაი ავტოზონა”

“ჯებელ ალი”-ს თავისუფალი ზონა – ეს არის ღუბაიში შექმნილი პირველი თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს შეიქმნა. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მზარდი თეზ. ჯებელ ალი აშენებულია საზღვაო პორტის გარშემო (პირდაპირ დაკავშირებულია როგორც საზღვაო პორტთან, ასევე აეროპორტთან), წარმოადგენს 100 კვადრატულ კილომეტრზე გაშლილ ჰარბორს და 40 კმ-ითაა დაშორებული ქალაქ ღუბაის ცენტრიდან. მისი განვითარებისათვის ემირატების მთავრობის მიერ ინვესტირებულმა მთლიანმა თანხამ 2.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. თავდაპირველად ზონაში შეიქმნა და განვითარდა სასაწყობე მეურნეობა და დაიწყო უცხოური და ადგილობრივი კომპანიების პროდუქციის დისტრიბუცია. შემდგომში ამას დაემატა გადამამუშავებელი (მანუფაქტურული) წარმოება და მომსახურება.

დღეისათვის ეს თავისუფალი ზონა მოიცავს წარმოების (ვაჭრობა, მომსახურება, შენახვა, დისტრიბუცია) მთელ სპექტრს და გამოირჩევა მსოფლიოში საუკეთესო საგადასახადო შეღავათებით. კერძოდ, კომპანიები და მასში დასაქმებულები

15 წლის განმავლობაში არ იხდიან საშემოსავლო და კორპორაციულ (მოგების) გადასახადებს. ასევე შესაძლებელია ამ პერიოდის მეორე 15 წლიანი ვადით გაგრძელება.

ზონაში მოქმედ კომპანიებს შეუძლიათ დაასაქმონ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, ზონაში არ მოქმედებს ექსპორტ-იმპორტის გადასახდელები და შესაძლებელია უცხოური კომპანიის მოგების 100%-იანი რეპატრაცია.

“ჯებელ ალის” ზონაში საქმიანობს 97 ქვეყნის 2300-ზე მეტი კომპანია, მათ შორის იაპონური (ნისანი, მიცუბიში, ჰონდა, სონი) და ევროპული მსხვილი კომპანიები (ABB, Shell, BASF და სხვა), რომლებიც დიდ როლს თამაშობენ თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარებაში.

“**დუბაი აეროპორტი**” – აეროპორტის თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიქმნა 1996 წელს და განთავსებულია დუბაის საერთაშორისო აეროპორტის გვერდით. აქ საქმიანობს 460 კომპანიაზე მეტი, რომლებიც რამდენიმე შეღავათით სარგებობენ. მათ შორის:

- სრული გათავისუფლება საშემოსავლო, მოგების, იმპორტის და ექსპორტის გადასახადებისაგან;
- 100 პროცენტის ფლობა უცხოელთა მხრიდან;
- კაპიტალის და მოგების 100 პროცენტის რეპატრაცია;
- პირდაპირი გასვლა დაახლოებით მილიარდ ნახევარ მომხმარებელზე;
- სამუშაო ძალის იოლი ხელმისაწვდომობა და დაბალი თვითღირებულება;
- მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურა;
- სწრაფი და ეფექტური კარგო მომსახურება;
- ადვილად ხელმისაწვდომი ელექტრონული კავშირები;
- 24 საათიანი სამუშაო რეჟიმი.

“**დუბაი ინტერნეტ ქალაქი**”. ინფორმაციული ტექნოლოგიების პარკი ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულ და ექსკლუზიურ ადგილად ითვლება. ის 2000 წელს შეიქმნა და სახელმწიფოს მხარდაჭერით განვითარდა. სხვა ზონების მსგავსად, უცხოურ კომპანიებს აქაც შეუძლიათ

ისარგებლონ საკუთრების სხვადასხვა ფორმით, საგადასახადო და საბაჟო შეღავათებით, რაც კანონითაა გარანტირებული 50 წლიანი ვადით. ზონა შესაძლებლობას აძლევს დიდ კომპანიებს მოახდინონ თავიანთი რესურსების კონცენტრირება. ზონაში საქმიანობენ ისეთი კომპანიები, როგორცაა: Microsoft, IBM, Oracle Corporation, Sun Microsystem, Cisco, HP, Siemens, i-mate, e-dinar, Acette და სხვა. მთლიანობაში დაახლოებით 850 კომპანიაა დარეგისტრირებული და 10 000 ადამიანია დასაქმებული. მიუხედავად პროგრესული საქმიანობისა, ცენტრს მაინც არ აქვს საკმარისი სირცე, რომ ყველა კომპანიას საქმიანობის საშუალება მისცეს.

შეიძლება ითქვას, რომ 2005 წლიდან ზონა თავისივე წარმატების მსხვერპლი გახდა, ვინაიდან სისტემატური მშენებლობის მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ ოფისების განთავსებისათვის საკმარისი სივრცე არ არის. დაიწყო ღროებითი სპეციალური ნებართვების გაცემა კომპანიებისთვის, რათა მათ იმუშავონ ზონის გარეთ მანამ, სანამ მათთვის არ იქნება შესაბამისი ფართი. თუმცა, ამ ნებართვების რაოდენობაც შეზღუდულია და ბევრი კომპანია ელოდება ნებართვის მიღებას. 2007 წლის დასაწყისიდან ბევრი მშენებლობა მიმდინარეობს და არ არსებობს მკაფიო პასუხი იმაზე თუ როდის დამთავრდება მათი მშენებლობა და რიგში მყოფ კომპანიებს როდის ექნებათ ოფისის ადების შესაძლებლობა.

“ღუბაის საერთაშორისო საფინანსო ცენტრი.” ღუბაის საერთაშორისო საფინანსო ცენტრი ქალაქის თავისუფალ საფინანსო ზონად ითვლება. ზონის მთავარი პრიორიტეტი შემდეგ ძირითად სექტორებზეა კონცენტრირებული: **საბანკო მომსახურება** (საინვესტიციო ბანკები, კორპორაციული ბანკები, კერძო ბანკები); **კაპიტალის ბაზრები** (აქციები, ვალის მართვის ინსტრუმენტები, სასაქონლო და მეორადი ვაჭრობა), **აქტივების მართვა** და **ფონდების რეგისტრაცია** (ფონდის რეგისტრაცია, ფონდის ადმინისტრაცია და ფონდის მენეჯმენტი), დაზღვევა, გადაზღვევა და სხვადასხვა ფინანსური ოპერაციები.

ლიცენზიების გაცემას სექტორული საფინანსო ინსტიტუტები ახორციელებენ. სხვა ზონების მსგავსად აქაც მოქმედებს ისეთი შეღავათები, როგორცაა საშემოსავლო და მოგების გადასახადებზე ნულოვანი განაკვეთები, 100 პროცენტიანი უცხოური

საკუთრება, არანაირი შეზღუდვა სავალუტო ოპერაციებსა თუ კაპიტალისა და მოგების რეპატრიაციასზე.

რაც შეეხება დასაქმების საკითხს, საფინანსო ცენტრში დაახლოებით 10 000 სამუშაო ადგილია შექმნილი. მართალია დასაქმებულთა უმრავლესობას უცხოელები წარმოადგენენ, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობაც შესაბამისი უნარ-ჩვევებითა და გამოცდილებით დასაქმებულია შესაბამის პოზიციებზე.

“ღუბაი მედია ქლაქი” – წარმოადგენს გადასახადებისგან თავისუფალ ზონას. იგი აშენებულია ღუბაის მთავრობის მიერ და მისი შექმნის ძირითადი მიზანი არაბთა გაერთიანებული ემირატების მედიის განვითარების ხელშეწყობაა. იგი დღეისათვის გვევლინება, როგორც რეგიონული საძირკველი სხვადასხვა სფეროს მედია ორგანიზაციებისათვის. კერძოდ: საინფორმაციო სააგენტოები, ელექტრონული მედია, პრესა, პროდუქცია და სხვა სამაუწყებლო საშუალებები. ღუბაის მედია ქლაქში ფუნქციონირებენ ისეთი მნიშვნელოვანი და ცნობილი სამაუწყებლო კომპანიები, როგორიცაა: როიტერი, CNN, BBC, Canon, ამერიკის ხმა, ახლო აღმოსავლეთის სამაუწყებლო ცენტრი, და სხვა).

“ღუბაის ტექნოპარკი” – აღნიშნული პარკის მთავარი დანიშნულებაა წახალისოს მაღალი ტექნოლოგიური წარმოების განვითარებას, რაც ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

“ღუბაის ავტოზონა”. ეს არის სპეციალური ინიციატივით შექმნილი თავისუფალი ზონა, რომელიც მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ყველაზე ხელმისაწვდომ რეგიონად გარდაქმნას ავტობიზნესის სფეროში. კერძოდ, მომხმარებელთა, მიმწოდებელთა, მოვაჭრეთა, საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროში დასაქმებულთა მხარდაჭერისათვის. აღნიშნული ზონა სისტემატურად ზრუნავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, იგი ცდილობს ისეთი ბიზნეს მოდელის შექმნას, რომელიც გააფართოვებს სტრატეგიული მნიშვნელობის ოპერაციებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, კერძოდ, აზიაში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკაში და სხვ.

ღუბაიში არსებული ყველა ეკონომიკური ზონა დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა მოხდეს რესურსებისა

და შიდა შესაძლებლობების კონსოლიდაცია, რაც მხარს დაუჭერს როგორც უკვე მოქმედ, ასევე მომავალ ინვესტორებს დაბრკოლებების გარეშე განახორციელონ ბიზნეს ფუნქციები, მიიღონ შესაბამისი ბიზნეს მოგება და ამით ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყონ ხელი.